



საჩუქრეთა წიგნი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

**საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების
სამინისტროს ხელმძღვანელობას**

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდისთვის
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების
აუდიტის ანგარიში

29 დეკემბერი, 2022
წელი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

მოგესხნებათ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შედეგად გაიცა უარყოფითი დასკვნა.

აუდიტი ჩატარდა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების საპასუხოდ, წარმოგიდგენთ ჩვენს რეკომენდაციებს და ხელმძღვანელობისთვის მნიშვნელოვან სხვა ინფორმაციას.

მიმდინარე აუდიტის ფარგლებში და წინა პერიოდის აუდიტების შედეგად გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირების შედეგები ასახულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემაში – ARIS (www.aris.sao.ge).

პატივისცემით,

ცოტნე ყავლაშვილი

გენერალური აუდიტორი

ტერმინები და შემოკლებები	2
1. რეკომენდაციები	3
2. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები	16
3. წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა ..	22
საკონტაქტო ინფორმაცია	26

ტერმინები და შემოკლებები

ეკონომიკის სამინისტრო – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

სამინისტროს აპარატი – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს აპარატი.

ავიაციის სააგენტო – სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტო.

აკრედიტაციის ცენტრი – სსიპ – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი.

აღრიცხვის ინსტრუქცია – „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია.

აწარმოე საქართველოში – სსიპ – აწარმოე საქართველოში.

ინოვაციების სააგენტო – სსიპ – საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო.

მეტროლოგიის სააგენტო – სსიპ – სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო.

მინერალური რესურსების სააგენტო – სსიპ – მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო.

ნავთობისა და გაზის სააგენტო – სსიპ – ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო.

ოუფენ ნეტი – ა(ა)იპ – ოუფენ ნეტი.

ფინანსთა სამინისტრო – საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

საზღვაო აკადემია – სსიპ – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია.

საზღვაო სააგენტო – სსიპ – საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო.

სახმელეთო სააგენტო – სსიპ – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო.

სსბასს – საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (IPSAS).

ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო – სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო.

ტურიზმის ადმინისტრაცია – სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია.

ქონების ეროვნული სააგენტო – სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

ჰიდროგრაფიული სამსახური – სსიპ – საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური.

1. რეკომენდაციები

1.1 აქციები და სხვა კაპიტალი/მატერიალური მარაგები

აუდიტის მიგნება

ქონების ეროვნული სააგენტოს ბუღალტრულ ჩანაწერებსა და, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული:

- 2016-2021 წლებში სააგენტოს მიერ სხვადასხვა საწარმოში განხორციელებული ქონებრივი და წილობრივი შენატანები, ჯამურად – 1,188,600,750 ლარის ოდენობით;¹
- 5,631,278 ლარის ღირებულების მიქცეული და განსაკარგავად გადაცემული ქონება.²
- სააგენტოს განკარგვაში არსებული სახელმწიფო მიწები და შენობები, მათ შორის, პრივატიზებული ქონება, რომელთა რეალიზებით სააგენტომ 2021 წელს 309,800,951 ლარს შემოსავალი მიიღო.

აღნიშნული აქტივები არსებითია არა მხოლოდ ეკონომიკის სამინისტროს, არამედ სახელმწიფოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სწორად და სამართლიანად წარდგენისათვის.

აღსანიშნავია, რომ მსგავსი ხარვეზი იდენტიფიცირებულია ეკონომიკის სამინისტროს წინა წლების³ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიშებში და გაცემულია შემდეგი რეკომენდაცია: „საკითხის მნიშვნელობიდან და კომპლექსურობიდან გამომდინარე, ეკონომიკის სამინისტრომ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან მჭიდრო კომუნიკაციით, იმსჯელოს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სტრუქტურაში შემავალი რომელი ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა აისახოს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოებში განხორციელებული არაფულადი შენატანები, ასევე საპრივატიზებო და საიჯარო ქონება. მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, აღნიშნული აქტივები აისახოს შესაბამისი ორგანიზაციის ბუღალტრულ ჩანაწერებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში, ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციის შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში მოხდეს საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება.“

ზემოაღნიშნული რეკომენდაცია განხილულ იქნა⁴ საქართველოს პარლამენტში.⁵ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან არსებულმა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშების განმხილველმა მუდმივმოქმედმა ჯგუფმა სრულად გაიზიარა რეკომენდაცია და ეკონომიკის სამინისტროს დაევალა ფინანსთა სამინისტროსთან კოორდინაციით ჩამოეყალიბებინა სამოქმედო გეგმა სახელმწიფო ქონების აღრიცხვაზე პასუხისმგებელი უწყებისა და ვადების განსაზღვრის, ასევე საჭიროების შემთხვევაში, საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირების შესახებ.

¹ ჩვენ ვერ მოვიპოვეთ სრული ინფორმაცია ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ 2016 წლამდე საწარმოთა კაპიტალში განხორციელებული ქონებრივი და წილობრივი შენატანებისა და კაპიტალიდან ამოღებული ქონებისა და წილების შესახებ

² სააგენტო ასევე ფლობს შეუფასებელი/წულოვანი ღირებულების მქონე 33,697 სხვადასხვა დასახელების მარაგს.

³ 2018 და 2020 წლების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიშები.

⁴ 2020 წლის 10 მარტს და 2021 წლის 17 მაისს.

⁵ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტთან არსებული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშების განმხილველი მუდმივმოქმედი აუდიტის ჯგუფის მიერ.

	მიუხედავად საკითხის მნიშვნელობისა და კომპლექსურობისა, ასევე არსებული საკანონმდებლო მოთხოვნებისა, ⁶ ხარვეზის აღმოსაფხვრელად საჭირო ღონისძიებები არ არის განხორციელებული.
მიზეზი	აღრიცხვის არასათანადო პრაქტიკა.
გავლენა	ფინანსური ანგარიშგების „მატერიალური მარაგებისა“ და „აქციების და სხვა კაპიტალის“ მუხლი შემცირებულად არის წარმოდგენილი.
რეკომენდაცია	საკითხის მნიშვნელობიდან და კომპლექსურობიდან გამომდინარე, ეკონომიკის სამინისტრომ იმსჯელოს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სტრუქტურაში შემავალი რომელი ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა აისახოს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოებში განხორციელებული არაფულადი შენატანები, ასევე – საინვესტიციო, საპრივატიზებო და საიჯარო ქონება. მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, შეიმუშაოს აღნიშნული აქტივების აღრიცხვასთან დაკავშირებული სააღრიცხვო პოლიტიკა და სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად ⁷ ასახოს აქტივები შესაბამისი ორგანიზაციის ბუღალტრულ ჩანაწერებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში; ასევე ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს აქტივების თანხობრივი შეფასება.
კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	სამინისტროს აპარატი, სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

1.2 გრძელვადიანი ფინანსური აქტივები

აუდიტის მიგნება	სახელმწიფო საწარმოებში განხორციელებული შენატანების აღრიცხვა-ანგარიშგებაში გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები: • 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ქონების ეროვნული სააგენტო წილს ფლობდა 99 საწარმოში,⁸ ბუღალტრულ ჩანაწერებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში კი ნაჩვენებია მხოლოდ 10 სახელმწიფო კომპანიის წილი; • საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსგან მიღებული ინფორმაციის მიხედვით,⁹ 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სამინისტროს აპარატი წილს ფლობს 59 საწარმოში. აღნიშნულ კომპანიებში არსებული წილის შესახებ ინფორმაცია სამინისტროს აპარატის ბუღალტრულ ჩანაწერებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი არ არის;¹⁰ • აღრიცხვის ინსტრუქციის მიხედვით,¹¹ საჯარო სექტორის კომერციულ ერთეულებში არსებული წილების ასახვისათვის გამოიყენება კაპიტალ-მეთოდი,¹² რაც სამინისტროს აპარატსა და ქონების ეროვნულ სააგენტოში არ არის გამოყენებული.
------------------------	---

⁶ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის (პირველი მუხლი, პუნქტი 6; მუხლი 2, „31“ ქვეპუნქტი), აღრიცხვის ინსტრუქციის კონცეპტუალური საფუძვლებისა (მე-5; მე-5.6 და მე-5.7 თავები) და სსბასს 1-ში წარმოდგენილი აქტივის განმარტების (მუხლი 7) მიხედვით, სახელმწიფო ქონება აკმაყოფილებს ქონების ეროვნული სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

⁷ სსბასს 12 - მატერიალური მარაგები; სსბასს 16 - საინვესტიციო ქონება; სსბასს 17 - ძირითადი საშუალებები; სსბასს 13 - იჯარა.

⁸ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 99 კომპანიიდან 47 არ ფუნქციონირებს.

⁹ წერილი N105060, 23.06.2022.

¹⁰ სამინისტროს აპარატის განმარტებით, აღნიშნული რეგისტრაციის ხარვეზია და წილები რეგისტრირებული უნდა იყოს ქონების სააგენტოზე.

¹¹ სსბასს 35 - „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“, მუხლი 10, პუნქტი 46.

¹² სსბასს 36, მე-8 მუხლის - „ინვესტიციები მეკავშირე ერთეულებსა და ერთობლივ საქმიანობებში“ მიხედვით, კაპიტალ-მეთოდი გულისხმობს

	ასევე: კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში სახელმწიფო საწარმოებში არსებული ინვესტიციების აღრიცხვაზე დაშვებულია სტანდარტებით გათვალისწინებული სავალდებულო მოთხოვნებიდან¹³ გამონაკლისი/გადახრა, რომელიც სათანადოდ არ არის დასაბუთებული.¹⁴
მიზეზი	აღრიცხვის არასათანადო პრაქტიკა.
გავლენა	ფინანსური ანგარიშების „გრძელვადიანი ფინანსური აქტივების“ მუხლში არსებული უზუსტობები.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, მიზანშეწონილია შემუშავდეს სახელმწიფო კომპანიებში არსებული წილების აღრიცხვის პოლიტიკა. კერძოდ, სამინისტრომ განიხილოს სახელმწიფო კომპანიებში არსებული წილების ერთჯერადად სამართლიანი ღირებულებით შეფასების საკითხი ან საიმედო ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში სახელმწიფო კომპანიებში წილობრივი ინსტრუმენტების საბოლოო ნაშთი დააკორექტიროს წინა წლებში არსებული თანხობრივი, ქონებრივი და წილობრივი შენატანებით და გაითვალისწინოს კაპიტალ-მეთოდის მოთხოვნები.
კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	სამინისტროს აპარატი, სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

1.3 მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები/სხვა მოკლევადიანი აქტივები

აუდიტის მიგნება	სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ირიცხება 21,794,655 ლარის სხვა მოკლევადიანი მიმდინარე აქტივები და 43,021,351 ლარის მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები, საიდანაც: • სამინისტროს აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში რიცხული 1,084,918 ლარის ოდენობის მოკლევადიანი მიმდინარე აქტივების მაიდენტიფიცირებელი სრულყოფილი პირველადი დოკუმენტაცია სამინისტროში არ იძებნება;¹⁵ • ჰიდროგრაფიის სამსახურის ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია 435,252 ლარის სხვა მოკლევადიანი მიმდინარე აქტივი, რომელიც წარმოადგენს დიდ ბრიტანეთში რეგისტრირებული კომპანიის, შპს „ჰაიგმასტერზე“ დაკისრებული ზარალის ასანაზღაურებელ თანხას.¹⁶ 2010 წლის სააღსრულებო ფურცლის შესაბამისად დაიწყო აღსრულების
------------------------	---

წილობრივი მონაწილეობის თავდაპირველ აღრიცხვას თვითღირებულების საფუძველზე, ხოლო შემდეგ მის კორექტირებას მეკავშირე ერთეულის ან ერთობლივი საქმიანობის წმინდა აქტივებში/კაპიტალში ინვესტორის კუთვნილ წილში შეძენის შემდგომ მომხდარი ცვლილების შესაბამისად.

¹³ სსბას 3, მუხლი 29.

¹⁴ სამინისტროში ასევე არ არის შემუშავებული ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკა, სადაც ახსნილი იქნებოდა სტანდარტის მოთხოვნებიდან გადახრის მიზეზები.

¹⁵ აღნიშნული თანხა, ანაზღაურებულია დანიშნულებით: „პანსიონატი ბიჭვინთა (შენობა)“, რომლის წარმოშობის თარიღის, ბენეფიციარის და სხვა დანარჩენი მონაცემების მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტაცია სამინისტროში არ იძებნება.

¹⁶ სასამართლოს 2009 წლის გადაწყვეტილების საფუძველზე.

	პროცესი, თუმცა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღნიშნული თანხა მიღებული არ არის;¹⁷ • სსიპ – მინერალური რესურსების სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში „მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებების“ ანგარიშზე რიცხული 200,970 ლარის დაფარვის ალბათობა დაბალია.¹⁸
მიზეზი	ინვენტარიზაციის ჩატარებლობა და მოთხოვნების დაფარვის ალბათობის შეუფასებლობა; დებიტორული დავალიანებების ამოღებასთან დაკავშირებული დავიანებული ქმედებები.
გავლენა	ფინანსური ანგარიშგების „მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებების“ მუხლსა და „სხვა მოკლევადიანი მიმდინარე აქტივების“ მუხლში არსებული უზუსტობები, ფინანსური დანაკარგების რისკი.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, აუცილებელია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და მისი სტრუქტურული ერთეულების ბალანსზე აღრიცხული მოთხოვნების ინვენტარიზაციას, ურთიერთშედეგების აქტების გაფორმებას, დებიტორების რეალობის, დაფარვის ალბათობის, ხანდაზმულობის მიზეზების შესწავლას, ასევე დავალიანებების ამოღების პროცესის დაჩქარებასა და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.
კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	სამინისტროს აპარატი; სსიპ – მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო; სსიპ – საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური.
აუდიტის მიგნება	სსიპ-ის – აწარმოე საქართველოში ფინანსურ ანგარიშგებაში „მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებების“ ანგარიშზე 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რიცხული 13,574,630 ლარიდან, 9,993,574 ლარი წარმოადგენს კომერციული ბანკების მიმართ არსებულ მოთხოვნებს. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, კომერციულ ბანკებში გაგზავნილ წერილებზე¹⁹ მიღებული პასუხების მიხედვით, ბანკები აღიარებენ 6,603,909 ლარით ნაკლებ დავალიანებას.
მიზეზი	აღრიცხვის ნაკლოვანება, კონტროლის მექანიზმების სისუსტე.
გავლენა	ფინანსური ანგარიშგების „მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებების“ მუხლში არსებული უზუსტობები.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, სსიპ-მა – აწარმოე საქართველოში კომერციული ბანკებიდან მოიპოვოს დეტალური ინფორმაცია, კონკრეტული ბენეფიციარების მიხედვით 2021 წლის განხორციელებული

¹⁷ ჰიდროგრაფიულმა სამსახურმა 2020 წელს საქართველოს იუსტიციის სამინისტროში გაგზავნა დოკუმენტაცია, უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების დიდი ბრიტანეთის უმაღლეს სასამართლოში დასარეგისტრირებლად, თუმცა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბრიტანეთის უმაღლეს სასამართლოში საქმისწარმოება დაწყებული არ არის.

¹⁸ დავალიანება წარმოშობილია 2017-2020 წლებში, რომლის ამოსაღებად სააგენტოს მიერ ქმედებები არ განხორციელებულა.

¹⁹ გარე დადასტურებაზე 14 კომერციული ბანკიდან წერილი მივიღეთ მხოლოდ 10-დან, რომლებზეც აღრიცხული დებიტორული დავალიანება შეადგენს 9,904,948 ლარს.

გადახდების შესახებ და ჩამოაყალიბოს სათანადო კონტროლის მექანიზმები ინფორმაციის პროაქტიულად მიღებისათვის.

კომპონენტი, რომელზეც გაიცა სსიპ – აწარმოე საქართველოში.
რეკომენდაცია
შესასრულებლად

1.4 ძირითადი აქტივები / საინვესტიციო ქონება

აუდიტის მიგნება	ძირითადი აქტივების/საინვესტიციო ქონების აღრიცხვა-ანგარიშგებაში გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები: • სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში არ არის დაცული სსზას 13-ის მოთხოვნები²⁰ იჯარის კლასიფიკაციასთან დაკავშირებით. კერძოდ, საოპერაციო იჯარით გაცემული ქონება არ არის აღრიცხული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ხოლო ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული ინფორმაცია არ არის მოცემული განმარტებით შენიშვნებში. 2021 წელს ქონების ეროვნული სააგენტოს ჯამურმა საიჯარო შემოსავალმა შეადგინა 7,813,705 ლარი. • ქონების ეროვნული სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული არ არის საოფისე ფართები, საერთო ფართობი – 415,75 კვ.მ.²¹ გარდა ამისა, ქონების ეროვნული სააგენტოს სახელზე რეგისტრირებული სატრანსპორტო საშუალებების შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსგან მიღებული ინფორმაციიდან,²² 8 ერთეული სატრანსპორტო საშუალება²³ არ იძებნება არც ქონების ეროვნული სააგენტოს ბალანსზე და არც მიქცეული და განსაკარგავად გადმოცემული ქონების ბაზაში. • სამინისტროს აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული არ არის დაბა ბაკურიანში მდებარე არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საერთო ფართობი – 831 კვ.მ.²⁴ • საზღვაო აკადემიის 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქვს საერთო საცხოვრებელი საბალანსო ღირებულებით – 38,112 ლარი, რაც საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული არ არის.²⁵
მიზეზი	აღრიცხვის არასათანადო პრაქტიკა.
გავლენა	ფინანსური ანგარიშების „ძირითადი აქტივების“ მუხლი შემცირებულად არის წარმოდგენილი.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, ქონების ეროვნულმა სააგენტომ, სამინისტროს აპარატმა და საზღვაო აკადემიამ უზრუნველყოს მათ საკუთრებაში არსებული ყველა ქონების იდენტიფიცირება,

²⁰ საოპერაციო იჯარით გაცემული აქტივი უნდა აღრიცხოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ხოლო ფინანსური იჯარით გაცემისას, მასზე ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს განმარტებით შენიშვნებში.

²¹ საკადასტრო კოდეზი – 02.04.03.157; 26.26.42.003.01.511

²² წერილის N MIA 1 22 00765671, 24.03.2022

²³ 7 ერთეული ტრაქტორი და ერთი სატვირთო ავტომობილი.

²⁴ სამინისტროს აპარატის განმარტებით აღნიშნული რეგისტრაციის ხარვეზია და მიწა რეგისტრირებული უნდა იყოს ქონების სააგენტოზე.

²⁵ საკადასტრო კოდი – 05.23.05.005

დაირეგისტრიროს საკუთრების უფლება,²⁶ გააკეთოს შესაბამისი შეფასებები და აღრიცხოს სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.²⁷

კომპონენტები, რომლებზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად

სამინისტროს აპარატი; სსიპ – ქონების ეროვნული სააგენტო; სსიპ – საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო.

აუდიტის მიგნება

სსიპს 17 – „ძირითადი აქტივების“ შესაბამისად,²⁸ აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა ყოველი ფინანსური წლის ბოლოს მაინც უნდა გადაისინჯოს და თუ მოსალოდნელი შედეგები წინა შეფასებებისაგან განსხვავდება, ცვლილებები უნდა აისახოს როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება,²⁹ რაც განხორციელებული არ არის. 2021 წელს სრულად გაცვეთილი და განულებული ძირითადი აქტივების ისტორიული ღირებულება შეადგენს 510,785 ლარს.³⁰

მიზეზი

სტანდარტის მოთხოვნების შეუსრულებლობა.

გავლენა

ფინანსური ანგარიშების „ძირითადი აქტივების“ მუხლში არსებული უზუსტობები.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშების სამართლიანი წარდგენის მიზნით, მიზანშეწონილია სამინისტრომ ყოველი წლის ბოლოს შეაფასოს ძირითადი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები და იმ შემთხვევაში, თუ სასარგებლო მომსახურების ვადები განსხვავებული იქნება არსებული შეფასებისგან, ცვლილებები ასახოს როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება, სსიპს 3-ის შესაბამისად.

კომპონენტები, რომლებზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად

სსიპ – ქონების ეროვნული სააგენტო; სსიპ – საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო; სსიპ – მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო; სსიპ – ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია.

1.5 არამატერიალური აქტივები

აუდიტის მიგნება

სსიპ – ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში არამატერიალური აქტივების აღრიცხვასთან დაკავშირებით გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

- სსიპ – ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში არ გამოიყენება სსიპს 31-ის მითითებები³¹ არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადების შეფასებასთან დაკავშირებით; არ არის დასაბუთებული არამატერიალურ აქტივებზე მინიჭებული სასიცოცხლო მომსახურების ვადების განსაზღვრის საკითხი და ყველა არამატერიალურ აქტივზე სასიცოცხლო მომსახურების ვადად განსაზღვრულია 10 წელი.
- 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია 1,367,130 ლარის

²⁶ სსიპ – საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტომ.

²⁷ სსიპს 12 – მატერიალური მარაგები; სსიპს 16 – საინვესტიციო ქონება; სსიპს 17 – ძირითადი საშუალებები; სსიპს 13 – იჯარა.

²⁸ მუხლი 67.

²⁹ სსიპს 3-ის – „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომების“ შესაბამისად.

³⁰ ქონების ეროვნული სააგენტო – 279,856 ლარი; საზღვაო აკადემია – 192,443; მინერალური რესურსების სააგენტო – 26,531; ტურიზმის სააგენტო – 11,955 ლარი.

³¹ 87-ე, 106-ე, 107-ე მუხლები.

ისტორიული ღირებულების³² მქონე გაცვეთილი და შემდგომი გამოყენებისთვის უვარგისი არამატერიალური აქტივები, რომლებიც არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ფინანსურ ანგარიშგებაში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხულია 102,590 ლარის ისტორიული ღირებულების მქონე არამატერიალური აქტივები, რომლებიც შემდგომი გამოყენებისთვის ვარგისია და მათი საბალანსო ღირებულება ნულის ტოლია. 2021 წელს განულებული საბალანსო ღირებულების მქონე არამატერიალური აქტივების მომსახურების ვადების ტესტირება და შეფასება არ განხორციელებულა.

მიზეზი

აღრიცხვის არასათანადო პრაქტიკა, სტანდარტის მოთხოვნების შეუსრულებლობა.

გავლენა

ფინანსური ანგარიშების „არამატერიალური აქტივების“ მუხლში არსებული უზუსტობები.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ გაატაროს შემდეგი ღონისძიებები:

- უზრუნველყოს არამატერიალური აქტივების როგორც განსაზღვრული და განუსაზღვრელი მომსახურების ვადების მქონე აქტივების კლასიფიკაცია და განსაზღვრელი სასიცოცხლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებზე ყოველწლიურად ჩაატაროს გაუფასურების ტესტირება;
- უზრუნველყოს შემდგომი გამოყენებისათვის უვარგისი არამატერიალური აქტივების იდენტიფიცირება და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით;
- მიზანშეწონილია ადმინისტრაციამ ყოველი წლის ბოლოს შეაფასოს არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები და იმ შემთხვევაში, თუ სასარგებლო მომსახურების ვადები განსხვავებული იქნება არსებული შეფასებისგან, ცვლილებები ასახოს როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება, სსბასს 3-ის შესაბამისად.

კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია.

აუდიტის მიგნება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ქონების ეროვნული სააგენტოსა და საზღვაო აკადემიის ფინანსურ ანგარიშგებებში ირიცხება, შესაბამისად, 881,611 ლარის და 3,591,663 ისტორიული ღირებულების მქონე არამატერიალური აქტივები.³³ 2021 წელს ქონების ეროვნულმა სააგენტომ ბალანსზე რიცხული ყველა არამატერიალური აქტივი, ხოლო საზღვაო აკადემიამ ბალანსზე რიცხული არამატერიალური აქტივებიდან, 3,343,580 ლარის ისტორიული ღირებულების მქონე არამატერიალური აქტივები³⁴ შეაფასა, როგორც განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე აქტივები. სსბასს 31-ის მოთხოვნების

³² საბალანსო ღირებულება - 123,661 ლარი.

³³ საბალანსო ღირებულება: ქონების ეროვნული სააგენტო - 499,044 ლარი; საზღვაო აკადემია - 3,439,609 ლარი.

³⁴ საბალანსო ღირებულება - 3,340,016 ლარი.

მიხედვით,³⁵ განუსაზღვრელი მომსახურების ვადის მქონე აქტივებს ამორტიზაცია არ ერიცხებათ, მაგრამ სავალდებულოა ყოველწლიურად გაუფასურების ტესტირების ჩატარება. 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს ქონების ეროვნულ სააგენტოს და საზღვაო აკადემიის მიერ სსპასს 31-ის აღნიშნული მოთხოვნა გათვალისწინებული არ არის.

მიზეზი	აღრიცხვის არასათანადო პრაქტიკა, სტანდარტის მოთხოვნების შეუსრულებლობა.
გავლენა	ფინანსური ანგარიშგების „არამატერიალური აქტივების“ მუხლში არსებული უზუსტობები.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია ქონების ეროვნულმა სააგენტომ და საზღვაო აკადემიამ განუსაზღვრელი სასიცოცხლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებზე ყოველწლიურად ჩატაროს გაუფასურების ტესტირება სსპასს 31-ის მოთხოვნების შესაბამისად.
კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	სსიპ – ქონების ეროვნული სააგენტო; სსიპ – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია.

1.6 სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები

აუდიტის მიგნება	სამინისტროს აპარატის ბალანსზე 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ირიცხება 2,888,132 ლარის ღირებულების ელექტროგადამცემი ხაზები და ინფრასტრუქტურა, რომლებიც სხვა ერთეულებზე გადასაცემი დააგანკუთვნილი. აღნიშნულ აქტივებს სამინისტროს აპარატისთვის ეკონომიკური სარგებელი არ მოაქვს და არც მომავალში იგეგმება მათი გამოყენება საკუთარი მიზნებისთვის.
მიზეზი	აღრიცხვის არასათანადო პრაქტიკა.
გავლენა	ფინანსური ანგარიშგების „სხვა არაფინანსური აქტივების“ მუხლში არსებული უზუსტობები.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია სამინისტროს აპარატმა იმსჯელოს – აღნიშნული აქტივები რამდენად აკმაყოფილებს სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარების კრიტერიუმებს და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
კომპონენტი, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	სამინისტროს აპარატი.

1.7 გრანტები, ტრანსფერები, სუბსიდიები

აუდიტის მიგნება	2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონის მიხედვით, მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულება უნაზღაურდებათ ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების მაღალმთიან სოფლებში მუდმივად მცხოვრებ
-----------------	--

³⁵ სსპასს 31, 106-ე და 107-ე პუნქტები.

მოსახლეობას (აბონენტებს) 2020 წლის 1 დეკემბრიდან 2021 წლის 15 მაისის ჩათვლით და 2021 წლის 15 ოქტომბრიდან 2021 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით პერიოდებში.

მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ 10,091,661 ლარის ხარჯიდან 2,422,567 ლარი ანაზღაურებულია ისეთ აბონენტებზე, რომლებსაც სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მოწოდებულ ბაზაში არ აქვთ მუდმივად მცხოვრების სტატუსი.

აღსანიშნავია, რომ მუდმივად მცხოვრების სტატუსის არმქონე პირებზე თანხები გადაირიცხა 2020 წელსაც, რაც განხილულია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2020 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიშში. ამასთანავე, საკითხის შესახებ ინფორმაცია შემდგომი რეაგირების მიზნით 2021 წლის 15 ნოემბერს გაგზავნილია საქართველოს გენერალურ პროკურატურაში.

მიზეზი

არასათანადო კონტროლის მექანიზმები.

გავლენა

ფინანსური ანგარიშგების „გრანტების, ტრანსფერებისა და სუბსიდიების“ მუხლში არსებული შესაძლო უზუსტობები, თანხების არაეკონომიური განკარგვის რისკი.

რეკომენდაცია

საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანად განკარგვისა და ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, მიზანშეწონილია ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტებმა დანერგონ სათანადო კონტროლის მექანიზმები მაღალმთიანი მოსახლეობისათვის ბუნებრივი აირის ასანაზღაურებელი ღირებულების დადასტურებისას შესაბამის აბონენტებზე „მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის“ სტატუსის სისწორის შემოწმებისათვის.

**კომპონენტები, რომლებზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად**

ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტები.

1.8 პირგასამტეხლო

აუდიტის მიგნება

ქონების ეროვნული სააგენტოს ერთ-ერთი ფუნქცია³⁶ ხელშეკრულების პირობების დარღვევის საფუძველზე დაკისრებული გადასახდელების/პირგასამტეხლოს აღრიცხვისა და ამოღების კონტროლი.

ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებული მონაცემების შესაბამისად, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელშეკრულებების საფუძველზე მისაღები პირგასამტეხლო – 80,476,549 ლარს და 119,216,007 აშშ დოლარს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ პირგასამტეხლოს დიდი ნაწილი წარმოშობილია 2006-2015 წლებში დადებული ხელშეკრულებებიდან და არ არის ასახული სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში.

მიზეზი

არ არის შემუშავებული სააღრიცხვო პოლიტიკა და არ არის განხორციელებული სააღრიცხვო შეფასებები.

გავლენა

ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებისათვის ინფორმაციის ნაკლებობა, პირგასამტეხლოების დაკისრების და ამოღების საკითხის შეუფასებლობა, ხელს

³⁶ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის N391 დადგენილება „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“.

უმლის სააგენტოს/სახელმწიფოს მიერ მისაღები შემოსავლების ზუსტ დაგეგმვაში.

რეკომენდაცია

მისაღები პირგასამტეხლოების აღრიცხვიანობისა და შესაბამისი თანხების დროულად მიღების მიზნით, ქონების ეროვნულმა სააგენტომ შეიმუშაოს და დაწეროს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს პრივატიზებისა და აქტივების მართვის უფლებით გადაცემის ხელშეკრულებების ეფექტიან მონიტორინგს და აღრიცხვას. კერძოდ, სახელშეკრულებო ვალდებულებათა მონიტორინგის პროცესში მნიშვნელოვანია შემუშავდეს პირგასამტეხლოების დარიცხვის ან ჩამოწერის კრიტერიუმები, რომელთა მიხედვით დაბალანსებულად იქნება გათვალისწინებული როგორც სახელმწიფოს, ასევე ინვესტორების ინტერესები. ასევე, ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია ანგარიშგების მომხმარებლებს მიეწოდოთ ინფორმაცია, აღნიშნულ თანხებთან დაკავშირებით, აღრიცხვის ინსტრუქციით და სააღრიცხვო პოლიტიკით განსაზღვრული კრიტერიუმების ფარგლებში.

კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

სამინისტროს აპარატი, სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

1.9 ინვენტარიზაცია

აუდიტის მიგნება

ინვენტარიზაცია კონტროლის მექანიზმია, რომლის მიზანია დანაკლისის, ზედმეტობისა და დაზიანებული ან/და გამოუსადეგარი ძირითადი აქტივების იდენტიფიცირება. შესაბამისად, ინვენტარიზაციის ჩატარება მნიშვნელოვანია რწმუნების მოსაპოვებლად, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ყველა ძირითადი საშუალება რეალურად არსებობს და ამასთანავე, ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული ყველა ძირითადი საშუალება სრულად არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში. ფინანსური აქტივების ინვენტარიზაციის სრულყოფილად ჩატარება მნიშვნელოვანია ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაციის სამართლიანი და უტყუარი წარდგენისათვის, ასევე ოზრდება აქტივების ეფექტიანად მართვის შესაძლებლობა.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ:

- ქონების ეროვნულ სააგენტოში, საზღვაო აკადემიაში, ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოსა და ნავთობისა და გაზის სააგენტოში 2021 წელს კანონმდებლობით გათვალისწინებული ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა.
- ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჩატარებული აქვს მხოლოდ დებიტორ-კრედიტორების, მცირეფასიანი აქტივების და სასაქონლო მატერიალური მარაგების ინვენტარიზაცია.³⁷
- ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციაში ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად იდენტიფიცირებულია ექსპლუატაციისთვის უვარგისი და მომსახურების სააგენტოსთვის

³⁷ ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციის ვადა გაგრძელდა 2022 წლის ივნისამდე.

გადასაცემი ძირითადი აქტივები და მატერიალური მარაგები, ასევე გაცვეთილი და შემდგომი გამოყენებისთვის უვარგისი არამატერიალური აქტივები.³⁸ ინვენტარიზაციის შედეგები ტურიზმის ადმინისტრაციის 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გათვალისწინებული არ არის.

- **მინერალური რესურსების სააგენტოში** აუდიტორული მსჯელობით შერჩეული მარაგების და ძირითადი აქტივების ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა, რომ მათი ნაწილი არ იძებნება საწყობში.³⁹ აღნიშნულ აქტივებთან და მარაგებთან დაკავშირებით ვერ მივიღეთ ინფორმაცია ადგილმდებარეობის შესახებ, ასევე ვერ მივიღეთ რაიმე სახის დოკუმენტაცია, რაც დაადასტურებდა მარაგების/ძირითადი აქტივების გასვლას.

მიზეზი

აქტივების არასათანადო კონტროლი.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული შესაძლო უზუსტობები.

რეკომენდაცია

აქტივების მართვაში არსებული ნაკლოვანებების გამოსავლენად და ფინანსური აქტივების დაკარგვის რისკის შესამცირებლად, სამინისტროს სტრუქტურაში შემავალმა ზემოაღნიშნულმა ორგანიზაციებმა ინვენტარიზაცია ჩაატარონ და ინვენტარიზაციის შედეგები ასახონ ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 31 დეკემბრის N364 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების და ინვენტარიზაციის შედეგების საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე აღრიცხვა-ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის მოთხოვნათა შესაბამისად. გარდა, ამისა მნიშვნელოვანია, სამინისტროს შესაბამისმა სტრუქტურულმა ერთეულმა დაადგინოს მინერალური რესურსების სააგენტოში გამოვლინილი დანაკლისების გამომწვევი მიზეზები და იმოქმედოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

სამინისტროს აპარატი, სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო; სსიპ – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია; სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო; სსიპ – ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო; სსიპ – საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო; სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია; სსიპ – მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო.

1.10 ბუღალტრული აღრიცხვა-სააღრიცხვო პოლიტიკა

აუდიტის მიგნება

სამინისტროში არ არის შემუშავებული და დანერგილი ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკა. სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება, დანერგვა და გამოყენება ორგანიზაციაში აღრიცხვის თანმიმდევრულობის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

³⁸ შემდგომი გამოყენებისთვის უვარგისი აქტივები საბალანსო ღირებულებით: ძირითადი აქტივები - 3,435 ლარი; მატერიალური მარაგები - 36,613 ლარი; არამატერიალური აქტივები - 123,661 ლარი.

³⁹ მარაგები: 2 საოფისე სავარძელი, 7 მასური პოლო. ძირითადი საშუალებები: 2 ტელევიზორი და 1 (ერთი) სმარტფონი დრონისთვის (მიღებული განმარტებით დრონი წაღებულია ხელოსანთან)

სააღრიცხვო პოლიტიკა შესაძლებელია მოიცავდეს ინსტრუქციას შემდეგი საკითხების აღრიცხვის შესახებ: სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე წარმოშობილი მოთხოვნები, პირგასამტეხლოები, საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან წარმოშობილი შემოსავლები, სანქციებიდან და ჯარიმებიდან მიღებული შემოსავლები და სხვ.

ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკის არარსებობა იწვევს არათანმიმდევრულ აღრიცხვიანობას სამინისტროს დაქვემდებარებულ უწყებებში და ზრდის ფინანსურ ანგარიშგებაში დაშვებული უზუსტობების რისკს.

მიზეზი

არათანმიმდევრული და არასწორი სააღრიცხვო პრაქტიკა.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული უზუსტობები.

რეკომენდაცია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ შეიმუშაოს და დანერგოს ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც ხელს შეუწყობენ განსხვავებული სააღრიცხვო მიდგომების შედეგად გამოწვეული უზუსტობების მინიმუმამდე შემცირებას, როგორც სამინისტროს აპარატში, ასევე მის დაქვემდებარებაში მყოფ ერთეულებში.

კომპონენტი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

სამინისტროს აპარატი, სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

1.11 კომუნალური გადასახადების სუბსიდირება

აუდიტის მიგნება

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 ოქტომბრის N655 დადგენილების⁴⁰ თანახმად, სამინისტრომ განახორციელა კომუნალური გადასახადების სუბსიდირება 2020 წლის ნოემბერსა და დეკემბერში, ასევე 2021 წლის იანვარსა და თებერვალში.

დადგენილების თანახმად,⁴¹ საყოფაცხოვრებო მომხმარებლის მიერ სუბსიდირებაზე უარის თქმის მიზნით, გამოყენებული იქნებოდა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (შემდგომ – სემეკი) მიერ შემუშავებული სათანადო ელექტრონული პლატფორმა.

მიღებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ სემეკის მიერ შექმნილი ელექტრონული პლატფორმა არ იძლევა სრულყოფილი ინფორმაციის მიღების საშუალებას, ხოლო სამინისტროს დადგენილებით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში არ ევალებოდა ინფორმაციის მოპოვება იმ აბონენტების შესახებ, რომლებმაც უარი განაცხადეს სუბსიდირებაზე. შესაბამისად, არ გადამოწმებულა კომუნალური მომსახურების გამწევი კომპანიებისაგან მიღებული ინფორმაციის სისწორე, რაც

⁴⁰ „კომუნალური გადასახადების სუბსიდირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“.

⁴¹ მუხლი 8.

	ზრდის თანხების ზედმეტად ანაზღაურების რისკებს და მიუთითებს კონტროლის მექანიზმების სისუსტეზე.
მიზეზი	არასათანადო კონტროლის მექანიზმები.
გავლენა	თანხების არაეკონომიური განკარგვის რისკი.
რეკომენდაცია	ფინანსური რესურსის ეფექტიანად განკარგვის მიზნით, მიზანშეწონილია სამინისტრომ გადაამოწმოს კომუნალური გადასახადების სუბსიდირების პროგრამის ფარგლებში მომსახურების გამწვევი კომპანიებისგან მიღებული ინფორმაციის სისწორე და მსგავსი პროგრამის სამომავლოდ განხორციელების შემთხვევაში, დაწეროს სათანადო კონტროლის მექანიზმები თანხების ასანაზღაურებლად გამოყენებული ინფორმაციის სისწორის დასადაგენად.
კომპონენტი, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	სამინისტროს აპარატი.

1.12 შემოსავლები სანქციებით, ჯარიმებით და საურავებით

აუდიტის მიგნება	სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის აღრიცხული ჯარიმებიდან მიღებული შემოსავლები, რაც ორგანიზაციების შეფასებით არ არის მათი შემოსავალი, რადგან თანხები ირიცხება ხაზინის ერთიან ანგარიშზე. 2021 წელს ასეთი ტიპის ჯარიმებმა, მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, შეადგინა 1,591,750 ლარი. ⁴²
მიზეზი	აღრიცხვის არათანმიმდევრული და არასათანადო პრაქტიკა.
გავლენა	ინფორმაციის არასრულად და არაზუსტად წარმოდგენა.
რეკომენდაცია	საქართველოს მთავრობის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ შეიმუშაოს სანქციებთან, ჯარიმებთან და საურავებთან დაკავშირებული სააღრიცხვო პოლიტიკა. შესაბამისმა ორგანიზაციებმა მოახდინონ შემოსავლების აღრიცხვა ბუღალტრულ ჩანაწერებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხვის ინსტრუქციის მოთხოვნების შესაბამისად.
კომპონენტები, რომელზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	სამინისტროს აპარატი; სსიპ – სამოქალაქო ავიაციის სააგენტო; სსიპ – მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო; სსიპ – ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო; ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო, სსიპ – საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო; სსიპ – სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო.

⁴² ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო - 852,350 ლარი, ნავთობისა და გაზის - 5,000 ლარი; ავიაციის სააგენტო - 22,000 ლარი; სახმელეთო სააგენტო - 249,900 ლარი; მინერალური რესურსების სააგენტო - 462,500 ლარი.

2. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები

2.1 მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები

აუდიტის მიგნება	ქონების ეროვნულ სააგენტოს შპს „საქართველოს ფოსტის“ მიმართ არსებული მოთხოვნა – 8,645,690 ლარის ოდენობით, ფინანსურ ანგარიშგებაში 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აღრიცხული არ ჰქონდა.
კომპონენტი, სადაც გამოვლინდა დარღვევა	სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

2.2 მატერიალური მარაგები

აუდიტის მიგნება	სამინისტროს აპარატის ბალანსზე 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მატერიალური მარაგების ანგარიშზე ირიცხება 1,514,725 ლარის ღირებულების ისეთი მატერიალური მარაგები, ⁴³ რომელთაც სამინისტროს აპარატის 2021 წლის ინვენტარიზაციის მასალების მიხედვით სამინისტროსთვის არ მოაქვს ეკონომიკური სარგებელი და მომავალში მათი გამოყენება არ იგეგმება. ტურიზმის ადმინისტრაციის ბალანსზე 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მატერიალური მარაგების ანგარიშზე ირიცხება 336,292 ლარის ღირებულების ისეთი მცირეფასიანი აქტივები, რომლებსაც იყენებს ორგანიზაცია და აღარ აკმაყოფილებს მარაგად აღიარების კრიტერიუმებს.
კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა	სამინისტროს აპარატი; სსიპ – ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია.

2.3 სხვა მოკლევადიანი მიმდინარე აქტივები

აუდიტის მიგნება	სსიპ-ს – აწარმოე საქართველოში გადარიცხული ავანსების შესაბამისი მომსახურება მიღებული აქვს 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით – 30,876 ლარის, ხოლო 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით – 181,246 ლარის ოდენობით. შესაბამისად, სსიპ-ის – აწარმოე საქართველოში ფინანსურ ანგარიშგებაში „სხვა მოკლევადიანი მიმდინარე აქტივების“ მუხლი 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გაზრდილია – 30,876 ლარის, ხოლო 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით – 181,246 ლარის ოდენობით.
კომპონენტი, სადაც გამოვლინდა დარღვევა	სსიპ – აწარმოე საქართველოში.

2.4 გრძელვადიანი ფინანსური აქტივები

აუდიტის მიგნება	ქონების ეროვნულ სააგენტოს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „გრძელვადიანი ფინანსური აქტივების“ მუხლში აღრიცხული აქვს „საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდში“ (GRDF) 2011 წელს განხორციელებული ინვესტიცია 78,769,832 ლარის ოდენობით. ⁴⁴ „გრძელვადიანი ფინანსური აქტივების“ მუხლი სსიპს 4-ის მიხედვით არ
-----------------	---

⁴³ 1,508,698 ლარის მარაგებს შეადგენს სატელევიზიო სიგნალის მისაღები მოწყობილობები.

⁴⁴ 25,429,311 აშშ დოლარის ეკვივალენტი 2021 წლის 31 დეკემბრის შესაბამისი კურსით.

აკმაყოფილებს ფულადი მუხლების განმარტებას, არაფულადი მუხლები კი არ ექვემდებარება პერიოდის ბოლოს არსებული სავალუტო კურსის გამოყენებით გადანგარიშებას. შესაბამისად, საქართველოს რეგიონული განვითარების ფონდში განხორციელებული ინვესტიცია აღიარებული უნდა იყოს საწყისი ღირებულებით, რაც შეადგენს 42,975,535 ლარს. შესაბამისად, ქონების ეროვნული სააგენტოს „გრძელვადიანი ფინანსური აქტივების“ მუხლი გაზრდილია 35,794,297 ლარის ოდენობით.

კომპონენტი, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

2.5 შემოსავლები გრანტებით

აუდიტის მიგნება

2021 წელს სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ-ებმა: ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტომ, ტურიზმის ადმინისტრაციამ და საზღვაო აკადემიამ სხვადასხვა დონორი ორგანიზაციიდან ჩარიცხული მიზნობრივი გრანტის თანხების აღრიცხვისთვის გამოიყენა საკასო აღრიცხვის მეთოდი.

მიზნობრივი გრანტების აღრიცხვისთვის საკასო მეთოდის გამოყენება არ შეესაბამება სსიპს 23-ის მოთხოვნებს და სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ნაცვლად უარყოფითი ნაშთით აღიარებული შემოსავლისა – 290,329 ლარის ოდენობით, აღიარებული უნდა იყოს საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები – 682,621 ლარის ოდენობით. სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასევე ასახული უნდა იყოს მიზნობრივი გრანტის გაუხარჯავი ფულის ნაშთის შესაბამისი ვალდებულება, რაც 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 174,202 ლარს.

კომპონენტები, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სსიპ – საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო; სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია; სსიპ – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია.

2.6 შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან გარდა პროცენტისა და გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლებისა

აუდიტის მიგნება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ქონების ეროვნული სააგენტოს ფინანსური ანგარიშგების “შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან გარდა პროცენტისა და გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლების” მუხლი შემცირებულია 840,961 ლარის ოდენობით.

კომპონენტი, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

2.7 გრანტები, ტრანსფერები და სუბსიდიები

აუდიტის მიგნება	ინოვაციების სააგენტოს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული 13,318,567 ლარის გრანტების და სუბსიდიის ხარჯი მოიცავს 7,851,631 ლარის ისეთ დანახარჯებს, რომელთა აღრიცხვა აღნიშნულ ანგარიშზე შეუსაბამოა ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის N17 ბრძანების მოთხოვნებთან. შედეგად, ინოვაციების სააგენტოს 2021 წლის „გრანტების, ტრანსფერების და სუბსიდიის“ ხარჯი 7,851,631 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი. ამასთანავე, 2021 წლის ხარჯებში აღრიცხული 7,851,631 ლარი საჭიროებს მუხლში – „საქონელი და მომსახურება“ რეკლასიფიკაციას. სსიპ-ის – აწარმოე საქართველოში ფინანსურ ანგარიშგებაში „გრანტების, ტრანსფერების და სუბსიდიების“ ხარჯის მუხლში აღრიცხული 134,767,029 ლარის ხარჯი შემცირებულია 169,710 ლარით, რაც ფაქტობრივად არის შეცდომის გასწორება და სსბას 3-ის მოთხოვნების მიხედვით,⁴⁵ შეცდომის გასწორება უნდა აღირიცხოს რეტროსპექტულად.
კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა	სსიპ – საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო; სსიპ – აწარმოე საქართველოში.

2.8 მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები

აუდიტის მიგნება	ქონების ეროვნულ სააგენტოს 2021 წელს სასამართლოს გადაწყვეტილებით დაეკისრა 333,759 ლარის გადახდა, რაც სააგენტოს მიერ ფინანსურ ანგარიშგებაში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ იყო ასახული. ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში არსებულ 190,000 ლარის კრედიტორული დავალიანების მაიდენტიფიცირებელი პირველადი დოკუმენტაცია არ იძებნება.
კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა	სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო; სსიპ – ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო.

2.9 საპროცენტო შემოსავლები

აუდიტის მიგნება	2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სსიპ-ის – აწარმოე საქართველოში ფინანსური ანგარიშგების „საპროცენტო შემოსავლების“ მუხლი შემცირებულია 369,104 ლარის ოდენობით.
კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა	სსიპ – აწარმოე საქართველოში.

⁴⁵ მუხლი 47.

2.10 საქონელი და მომსახურება

აუდიტის მიგნება

სამინისტროს აპარატს 2021 წელს „საქონლისა და მომსახურების“ ხარჯში ჩამოწერილი აქვს ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი გამოუსადეგარი და ექსპლუატაციაში მყოფი 360,365 ლარის მცირეფასიანი აქტივები. აღნიშნული მცირეფასიანი აქტივებიდან 356,797 ლარის მცირეფასიანი აქტივები ექსპლუატაციაში გადაცემულია 2004-2020 წლებში და ხარჯებში აღიარებას ექვემდებარებოდა ექსპლუატაციაში გადაცემის პერიოდში.

კომპონენტი, სადაც გამოვლინდა დარღვევა

სამინისტროს აპარატი.

2.11 ცვეთა და ამორტიზაცია

აუდიტის მიგნება

საზღვაო აკადემიამ 2021 წელს მიიღო 9,084,048 ლარის ღირებულების ძირითადი აქტივები, რომელთაც დაარიცხა სრული წლის ცვეთა – 339,046 ლარის ოდენობით.

საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ცვეთის/ამორტიზაციის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის შესახებ ინსტრუქციის მიხედვით სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის წელს, აქტივს ცვეთა/ამორტიზაცია უნდა დაერიცხოს წლის განმავლობაში ერთეულში მუშა მდგომარეობაში ყოფნის ვადის პროპორციულად, ხოლო აღიარების შეწყვეტის წელს – წლის განმავლობაში ერთეულში ყოფნის ვადის პროპორციულად, დღეების ან თვეების მიხედვით, რომლის გათვალისწინებით, საზღვაო აკადემიის მიერ 2021 წელს მიღებულ აქტივებზე დასარიცხი ცვეთა შეადგენდა 111,209 ლარს.

კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა

სსიპ – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია.

2.12 სხვადასხვა ხარჯები

აუდიტის მიგნება

სამინისტროს აპარატმა 2021 წელს ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში ასახა 2015-2018 წლებში გამოცემული სასამართლო გადაწყვეტილებებით და 2020 წელს აღსრულების ეროვნული ბიუროსგან მიღებული წერილით დაკისრებული 2,467,610 ლარის გადახდის ვალდებულების ხარჯი.

აღნიშნული ფაქტობრივად არის შეცდომის გასწორება და სსბასს 3-ის მიხედვით, მოითხოვს რეტროსპექტულ ასახვას, რომლის საფუძველზეც დაკისრებული ვალდებულების თანხით უნდა დაკორექტირებულიყო საწყისი კაპიტალის ნაშთი და არ უნდა ასახულიყო 2021 წლის ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგებაში.

ქონების ეროვნული სააგენტოს ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგებაში ასახულია „გრძელვადიანი ფინანსური აქტივების“ მუხლში შემავალი ინვესტიციების გადაფასების შედეგად მიღებული ზარალი 4,551,941 ლარის ოდენობით, რაც არ შეესაბამება სსბასს 4-ის მოთხოვნებს.⁴⁶

⁴⁶ სსბასს 4, პუნქტი 17 და 27.

ქონების ეროვნული სააგენტოს 2021 წელს სატრანსპორტო საშუალებების გადაფასებით მიღებულ შემოსავლებში აღიარებული აქვს 1,235,612 ლარი, ნაცვლად 554,224 ლარისა. ხოლო, სატრანსპორტო საშუალებების გადაფასებით მიღებულ ზარალში – 732,195 ლარი, ნაცვლად – 50,807 ლარისა.

კომპონენტები, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სამინისტროს აპარატი; სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

2.13 კონსოლიდაციის პროცესი

აუდიტის მიგნება

სამინისტროს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N2-ში სრულად არ არის ელიმინირებული შიდაჯგუფური ოპერაციები და არასწორად არის გაზრდილი გრანტის სახით მიღებული შემოსავალი – 979,673 ლარის, ხოლო გრანტის სახით გაწეული ხარჯი – 979,673 ლარის ოდენობით. ასევე, არასწორად არის გაზრდილი „საქონელი და მომსახურების რეალიზაციის“ სახით მიღებული შემოსავალი – 36,587 ლარის, ხოლო „საქონელი და მომსახურების“ სახით გაწეული ხარჯი – 36,587 ლარის ოდენობით.

კომპონენტი, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სამინისტროს აპარატი.

2.14 განმარტებითი შენიშვნები

აუდიტის მიგნება

სამინისტროს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში არ არის ასახული სამინისტროს ყველა სტრუქტურული ერთეულის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნების შესაბამისი სრული ინფორმაცია.

ასევე, სამინისტროს განმარტებით შენიშვნებში არ არის წარმოდგენილი აღრიცხვის ინსტრუქციით გათვალისწინებული სსბასს-ის შესაბამისად განსაზღვრული ინფორმაცია, კერძოდ:

სასამართლო დავები

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის პრინციპიდან გამომდინარე,⁴⁷ ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში წარდგენილი უნდა იყოს სასამართლო დავების შესახებ ინფორმაცია ან საჭიროების შემთხვევაში უნდა აღირიცხოს შესაბამის მუხლში.⁴⁸

სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში არ არის გამჟღავნებული ინფორმაცია სამინისტროს სტრუქტურაში შემავალი ყველა ერთეულის მიმდინარე სასამართლო დავების

⁴⁷ სსბასს 1, პუნქტი 27.

⁴⁸ სსბასს 19.

შესახებ.⁴⁹ ასევე, სამინისტროში არ არის შემუშავებული სააღრიცხვო პოლიტიკა სასამართლო დავებთან დაკავშირებით, შესაბამისად, არ ხდება სასამართლო დავების მოსალოდნელი შედეგების შეფასება და, საჭიროების შემთხვევაში, არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში.

ინფორმაცია შეზღუდული ფულადი რესურსის შესახებ

სსიპ – აწარმოე საქართველოში და ქონების ეროვნული სააგენტო ფლობენ ისეთ ფულად სახსრებს, რომელთა გამოყენება შეზღუდული აქვთ მათი მიზნობრიობიდან გამომდინარე. ასეთი თანხა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 111,622,092 ლარს.⁵⁰

სსპას 2-ის მიხედვით,⁵¹ ინფორმაცია იმ ფულად სახსრებთან დაკავშირებით, რომლებიც ეკუთვნის ერთეულს, მაგრამ არ შეუძლია მათი გამოყენება, წარმოდგენილი უნდა იყოს განმარტებით შენიშვნებში. ქონების ეროვნულ სააგენტოს ახსნა-განმარტებით შენიშვნებში, როგორც შეზღუდული ფულადი რესურსი, გამჟღავნებული აქვს 26,357,716 ლარი, ნაცვლად – 8,429,365 ლარისა. ხოლო სსიპ-ის – აწარმოე საქართველოში მიერ გამჟღავნებულია, რომ კომერციულ ბანკებს სადეპოზიტო ანგარიშებზე განთავსებული აქვთ საგარანტიო თანხები, რომლებზეც დადგენილების შესაბამისად აქვთ შეზღუდული წვდომა, თუმცა არ არის გამჟღავნებული თანხის ოდენობა.

**კომპონენტები, სადაც
გამოვლინდა დარღვევა**

სამინისტროს აპარატი, სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნული და სსიპ – აწარმოე საქართველოში.

⁴⁹ ინფორმაცია წარდგენილია მხოლოდ სამინისტროს აპარატის მიმდინარე სასამართლო დავების შესახებ.

⁵⁰ სსიპ – აწარმოე საქართველოში - 103,192,727 ლარი; ქონების ეროვნულ სააგენტოში - 8,429,365 ლარი.

⁵¹ მუხლი 59.

3. წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა

რეკომენდაცია რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	საკითხის მნიშვნელობიდან და კომპლექსურობიდან გამომდინარე, ეკონომიკის სამინისტრომ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან მჭიდრო კომუნიკაციით, იმსჯელოს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სტრუქტურაში შემავალი რომელი ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა აისახოს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედ საწარმოებში განხორციელებული არაფულადი შენატანები, ასევე – საინვესტიციო, საპრივატიზებო და საიჯარო ქონება. მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, აღნიშნული აქტივები ასახოს შესაბამისი ორგანიზაციის ბუღალტრულ ჩანაწერებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში, სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში მოხდეს საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება შესრულებული.
რეკომენდაცია რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, მიზანშეწონილია შემუშავდეს სახელმწიფო კომპანიებში არსებული წილების აღრიცხვის პოლიტიკა. კერძოდ, სამინისტრომ განიხილოს სახელმწიფო კომპანიებში არსებული წილების ერთჯერადად სამართლიანი ღირებულებით შეფასების საკითხი ან საიმედო ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში სახელმწიფო კომპანიებში წილობრივი ინსტრუმენტების საბოლოო ნაშთი დააკორექტიროს წინა წლებში არსებული თანხობრივი, ქონებრივი და წილობრივი შენატანებით და გაითვალისწინოს კაპიტალ-მეთოდის მოთხოვნები. შესრულებული.
რეკომენდაცია რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, აუცილებელია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და მისი სტრუქტურული ერთეულების ბალანსზე აღრიცხული მოთხოვნების ინვენტარიზაციას, ურთიერთშეძარების აქტების გაფორმებას, დებიტორების რეალობის, დაფარვის ალბათობის, ხანდაზმულობის მიზეზების შესწავლას, ასევე დავალიანებების ამოღების პროცესის დაჩქარებასა და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. ნაწილობრივ შესრულებული.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, სსიპ-მა – აწარმოე საქართველოში კომერციული ბანკებიდან მოიპოვოს დეტალური ინფორმაცია, კონკრეტული ბენეფიციარების მიხედვით, 2020 წლის განხორციელებული გადახდების შესახებ და ჩამოაყალიბოს სათანადო კონტროლის მექანიზმები ინფორმაციის პროაქტიულად მიღებისათვის.

რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	ნაწილობრივ შესრულებული.
რეკომენდაცია	საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანად განკარგვისა და ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, მიზანშეწონილია ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტებმა დანერგონ სათანადო კონტროლის მექანიზმები მაღალმთიანი მოსახლეობისათვის ბუნებრივი აირის ასანაზღაურებელი ღირებულების დადასტურებისას შესაბამის აბონენტებზე „მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის“ სტატუსის სისწორის შემოწმებისათვის.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	შესრულებული.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, ქონების ეროვნულმა სააგენტომ გააკეთოს შესაბამისი შეფასებები, დააკლასიფიციროს სახელმწიფო ქონებები და აღრიცხოს სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	შესრულებული.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, მიზანშეწონილია სამინისტრომ ყოველი წლის ბოლოს შეაფასოს ძირითადი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები და იმ შემთხვევაში, თუ სასარგებლო მომსახურების ვადები განსხვავებული იქნება არსებული შეფასებისგან, ცვლილებები ასახოს როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება სსბას 3-ის შესაბამისად.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	ნაწილობრივ შესრულებული.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, სამინისტრომ არამატერიალური აქტივები დააკლასიფიციროს როგორც განსაზღვრული და განუსაზღვრელი მომსახურების ვადების მქონე აქტივები და განუსაზღვრელი სასიცოცხლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებზე ყოველწლიურად ჩაატაროს გაუფასურების ტესტირება.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	ნაწილობრივ შესრულებული.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, სამინისტროს აპარატმა სსბას 21-ის მიხედვით, ჩაატაროს გაუფასურების ტესტი და განსაზღვროს აქტივის ბალანსზე აღრიცხვის მიზანშეწონილობა.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	შესრულებული.
რეკომენდაცია	მისაღები პირგასამტეხლოების აღრიცხვიანობისა და შესაბამისი თანხების დროულად მიღების მიზნით, ქონების ეროვნულმა სააგენტომ შეიმუშაოს და დანერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს პრივატიზებისა და აქტივების მართვის უფლებით გადაცემის ხელშეკრულებების ეფექტიან მონიტორინგს და აღრიცხვას. კერძოდ,

	სახელშეკრულებო ვალდებულებათა მონიტორინგის პროცესში მნიშვნელოვანია შემუშავდეს პირგასამტეხლობის დარიცხვის ან ჩამოწერის კრიტერიუმები, რომელთა მიხედვით დაბალანსებულად იქნება გათვალისწინებული როგორც სახელმწიფოს, ასევე ინვესტორების ინტერესები. ასევე, ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია ანგარიშგების მომხმარებლებს მიეწოდოს ინფორმაცია, აღნიშნულ თანხებთან დაკავშირებით, სსბასს-ით და სააღრიცხვო პოლიტიკით განსაზღვრული კრიტერიუმების ფარგლებში.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	შეუსრულებელი.
რეკომენდაცია	აქტივების მართვაში არსებული ნაკლოვანებების გამოსავლენად და ფინანსური აქტივების დაკარგვის რისკის შესამცირებლად, სამინისტროს სტრუქტურაში შემავალმა ზემოაღნიშნულმა ორგანიზაციებმა ინვენტარიზაცია ჩაატარონ ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ მოთხოვნათა შესაბამისად.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	ნაწილობრივ შესრულებული.
რეკომენდაცია	კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ შეიმუშაოს და დანერგოს ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც ხელს შეუწყობენ განსხვავებული სააღრიცხვო მიდგომების შედეგად გამოწვეული უზუსტობების მინიმუმამდე შემცირებას როგორც სამინისტროს აპარატში, ასევე მის დაქვემდებარებაში მყოფ ერთეულებში.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	შეუსრულებელი.
რეკომენდაცია	ფინანსური რესურსის ეფექტიანად განკარგვის მიზნით, მიზანშეწონილია სამინისტრომ გადაამოწმოს კომუნალური გადასახადების სუბსიდირების პროგრამის ფარგლებში მომსახურების გამწვევი კომპანიებისგან მიღებული ინფორმაციის სისწორე და მსგავსი პროგრამის სამომავლოდ განხორციელების შემთხვევაში დანერგოს სათანადო კონტროლის მექანიზმები თანხების ასანაზღაურებლად გამოყენებული ინფორმაციის სისწორის დასადგენად.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	შეუსრულებელი.
რეკომენდაცია	საქართველოს მთავრობის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ და საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშაონ გადასესხებულ სესხებთან დაკავშირებული სააღრიცხვო პოლიტიკა, კერძოდ, დაკონკრეტდეს რომელი უწყების მიერ მოხდება აღნიშნული თანხების აღრიცხვა და შესაბამისი შეფასებების გაკეთება.

რეკომენდაციის შესრულების შესრულებული.
სტატუსი

რეკომენდაცია

საქართველოს მთავრობის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ და საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ შეიმუშაონ სანქციებთან, ჯარიმებთან და საურავებთან დაკავშირებული სააღრიცხვო პოლიტიკა, კერძოდ, სააღრიცხვო პოლიტიკაში დაკონკრეტდეს, რომელი უწყების მიერ მოხდება მიღებული შემოსავლების აღრიცხვა და შესაბამისი შეფასებების გაკეთება. ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, აუცილებელია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და მისი სტრუქტურული ერთეულების ბალანსზე აღრიცხული მოთხოვნების ინვენტარიზაციას, ურთიერთშედარების აქტების გაფორმებას, დებიტორების რეალობის, დაფარვის ალბათობის, ხანდაზმულობის მიზეზების შესწავლას, ასევე დავალიანებების ამოღების პროცესის დაჩქარებასა და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.

რეკომენდაციის შესრულების შესრულებული.
სტატუსი

საკონტაქტო ინფორმაცია

გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის პროცესზე პასუხისმგებელი პირი	ანა ბურდიაშვილი aburdiashvili@sao.ge
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემა	https://aris.sao.ge/
ვებგვერდი და სოციალური მედია	https://www.sao.ge/ https://www.budgetmonitor.ge/ka http://www.blog.sao.ge/ http://www.sai.ge/main/ https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/ https://www.youtube.com/user/saogeorgia https://www.facebook.com/www.sao.ge
ცხელი ხაზი	(+995 32) 243 81 81
ელფოსტის მისამართი	sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE